

ტექნიკური დავალება

საპროექტო ობიექტის მდებარეობა და მოკლე აღწერა:

საპროექტო ობიექტი მდებარეობს: დიდუბის რაიონში, რომელიც მოიცავს მთლიანად ა. ბელიაშვილის ქუჩას. სექმატური ნახაზი წარმოდგენილია ორთოფოტოს სახით. სავარაუდო სიგრძე 3 900 მ-ია (დაზუსტდეს პროექტირებისას). აღნიშნული გზის ა/ბეტონის საფარი ამორტიზებულია, შეიმჩნევა ორმოები, ჯდენები, გრძივი და განივი ბზარები. ანალოგიური დაზიანებებია ფეხითმოსიარულეთათვის განკუთვნილ ტროტუარზეც. საპროექტო გზის გრძივი და განივი პროფილები არ შეესაბამება ნორმებს, რაც ხელს უშლის ფეხითმოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილებას.

დავალების მიზანი:

მომსახურების მიწოდება მიზნად ისახავს სარეაბილიტაციო გზაზე სრულყოფილი სავალი საკვლევადი სამუშაოების ჩატარებას და ორფენიანი საგზაო სამოსის გათვალისწინებით არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას, რაც გულისხმობს საპროექტო მონაკვეთზე გზის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური და ზოგადი სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მახასიათებლებისა და მონაცემების განხილვას, შესწავლასა და გაანალიზებას. საპროექტო გზის სავალ ნაწილზე უნდა მოეწყოს ორ ფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი (ა/ბეტონის საფარის ზედა ფენა ადჰეზიური დანამატით). სავალი ნაწილის სამოსის კონსტრუქციის ტიპების შერჩევა საანგარიშო ღერძული დატვირთვების გათვალისწინებით. საჭიროა გზის საფარიდან წყლის აცილების ღონისძიებების დაგეგმვა. არსებული სანიაღვრე ქსელი საჭიროებს აღდგენა-რეაბილიტაციას, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს უკვე რეაბილიტირებული მონაკვეთები.

დამკვეთთან შეთანხმებით საპროექტო გზის მთელ სიგრძეზე უნდა მოეწყოს ველო-ბილიკი, საერთო სიგანით 3 მ. ველო-ბილიკზე ასფალტ-საფარი უნდა იყოს წითელი ფერის. ველო-ბილიკი გეგმაში ძირითადად უნდა მოეწყოს ტროტუარის გვერდით არსებულ გზის სავალ ნაწილზე, ხოლო სიმაღლეში უნდა დაპროექტდეს ისეთ დონეზე, რომ გათვალისწინებულ იქნას წყლის აცილება, როგორც საპროექტო ბილიკზე, ასევე არსებულ ტროტუარზე და დარჩენილ გზის სავალ ნაწილზე. ამისათვის საჭირო გახდება ტროტუარის ბორდიურთან არსებული სანიაღვრე ჭების დემონტაჟი და ახალი ჭების მოწყობა ველო-ბილიკის გასწვრივ ახალ ბორდიურებთან.

გზის ორივე მხარეს არსებული ტროტუარების სიგანეები კონკრეტულ უბნებზე უნდა დაპროექტდეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე და შეთანხმდეს დამკვეთთან.

მომსახურების მიწოდება ასევე მიზნად ისახავს არსებული ხეების შემოფარგვლას ლითონის ცხაურებით (დამკვეთთან შეთანხმებით).

საპროექტო გზაზე აუცილებელია შშმ პირთათვის ადაპტირებული გადასასვლელების და ტროტუარების მოწყობა, რაც გულისხმობს საქართველოს მთავრობის დადგენილება №41-ის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესაბამისობას“.

მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს პროექტის საავტორო ზედამხედველობა სამუშაოების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პროექტის კორექტირება დამკვეთთან შეთანხმებით.

საპროექტო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული უნდა იყოს:

1. საკვლევ-სადიებოსამუშაოები:

- 1.1. ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (საჭიროების შემთხვევაში ჰიდროლოგიური) და შესაბამისი დეტალური დასკვნის წარმოდგენა გრაფიკული ჭრილებით;
 - 1.1.1. გრუნტის სინჯების აღება (არანაკლებ 2 მ სიღრმეზე) და ნებისმიერი სხვა გეო-ტექნიკური კვლევები და გამოცდა, სათანადო (150-300 მ) ინტერვალებში, როგორც ეს საჭიროა გზის პროექტირებისათვის. (წარმოდგენილი იქნას ფოტომასალა);
 - 1.1.2. საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევას აუცილებელია დაესწროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის თანამშრომელი (გეოლოგი), რა დროსაც შედგება

შესაბამისი აქტი იმის დასადასტურებლად, რომ კვლევანახორციელდა.წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი არ ჩათვლის საპროექტო დოკუმენტაციას სრულყოფილად.

- 1.2. ტოპოგეოდეზიური სამუშაოების ჩატარება UTM კოორდინატთა სისტემაში (GeoCORS);
- 1.3. გზის ელემენტების (სავალი ნაწილი, ტროტუარი, ბორდიური, საკომუნიკაციო ჭები) და ხელოვნური ნაგებობების (საყრდენი კედლების, ჯებირების) მდგომარეობის შესწავლა;
- 1.4. ზედაპირული წყლების მოცილების ღონისძიებების შესწავლა და ანალიზი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურთან - შპს „თბილსერვის ჯგუფი“-თან.
- 1.5. არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყალსადენი, კანალიზაცია, გაზსადენი, მაღალი ძაბვის კაბელები, კავშირგაბმულობის ქსელები და სხვა) მდგომარეობის შესწავლა, დატანა სიტუაციურ გეგმაზე და შეთანხმება შესაბამის სამსახურებთან (საპროექტო ობიექტზე რომელიმე საკომუნიკაციო ქსელის არ არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი კომუნიკაციის მფლობელისგან წერილობითი დასტური);

2. მუშა პროექტის შედგენა მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სტანდარტების დაცვით:

- 2.1. განმარტებითი ბარათი უნდა შეიცავდეს: ობიექტის არსებული მდგომარეობის დეტალურ აღწერას, არსებული გზის ძირითად მაჩვენებლებს, რომლებიც ასახავენ გზის არსებულ პარამეტრებს და მის მდგომარეობას, გზის და ხელოვნური ნაგებობების აღწერას, საპროექტო გადაწყვეტილებებს, შესასრულებელ სამუშაოთა აღწერას და სხვა;
- 2.2. სავალი ნაწილის სამოსის კონსტრუქციის ტიპების შერჩევა საანგარიშო ღერძული დატვირთვების გათვალისწინებით (შეთანხმდეს დამკვეთთან);
- 2.3. საჭიროების შემთხვევაში სავალი ნაწილისა და ტროტუარების გაბარიტების კორექტირება გაუმჯობესების მიზნით არსებული სიტუაციის გათვალისწინებით და დამკვეთთან შეთანხმებით;
- 2.4. სიტუაციური გეგმები (რეპერების კოორდინატების მითითება) არსებული და საპროექტო მიწისქვეშა კომუნიკაციების და ქსელების დატანით;
- 2.5. საგზაო სამოსის კონსტრუქციის ტიპების შერჩევა კვლევების შედეგებზე დაყრდნობით. გზის დრეკადობის მოდული შერჩეული იქნას ტრანსპორტის საქალაქო სამსახურიდან წერილობით აღებული მონაცემების გათვალისწინებით ;
- 2.6. სქემატური ნახაზები (საჭიროების მიხედვით);
- 2.7. განივი პროფილები, გადაღებული იქნას ყოველ 10-20 მ-ში (საჭიროების მიხედვით) და მახასიათებელ წერტილებში (უნდა შეიცავდეს: საპროექტო (წითელ), მიწის (შავ) და მუშა ნიშნულებს, მანძილებს მახასიათებელ წერტილებს შორის, განივი ქანობების გრაფიკულ ასახვას რიცხობრივ მაჩვენებლებთან ერთად, მიმდებარე სიტუაციას. დატანილი უნდა იყოს საპროექტო და არსებული ხელოვნური ნაგებობები პარამეტრებთან ერთად).
- 2.8. გრძივი პროფილები გზის ღერძის გასწვრივ, (უნდა შეიცავდეს: საპროექტო (წითელ), მიწის (შავ) და მუშა ნიშნულებს, კილომეტრაჟს, პიკეტაჟს და მანძილებს მახასიათებელ წერტილებს შორის, გრძივი ქანობების, ვერტიკალური და ჰორიზონტალური მრუდების გრაფიკულ ასახვას რიცხობრივ მაჩვენებლებთან ერთად, დატანილი უნდა იყოს საპროექტო და არსებული ხელოვნური ნაგებობები პარამეტრებით).
- 2.9. გარე განათების პროექტის მომზადება (შეთანხმდეს დამკვეთთან);
- 2.10. საჭიროების შესაბამისად მოსაწყობი კომუნიკაციების (სანიაღვრე ქსელი) და ხელოვნური ნაგებობების მუშა ნახაზები (გეგმები, ჭრილები, სპეციფიკაციები და სხვა) და ანგარიშები (შეთანხმდეს შესაბამის სამსახურთან);
- 2.11. ცხრილები და უწყისები;
- 2.12. საპიკეტო უწყისები;
- 2.13. მოხვევის კუთხეების, სწორებისა და მრუდების უწყისი, რეპერების დამაგრების უწყისი, მრუდებზე ვირაჟების დაკვალვის უწყისი და სხვა;
- 2.14. კრებსითი უწყისები მასალების, საგზაო სამოსის ფართების, საკომუნიკაციო ჭების, მეორადი შესაძლო გამოსაყენებელი მასალების, ელექტროგადამცემი ხაზების, წყალსადენების, კავშირგაბმულობის კაბელების (საირიგაციო სისტემების, გაზისა და ნავთობის მილსადენების) და სხვა კომუნიკაციების გადატანის და სხვა უწყისები, სადაც გარკვევით უნდა იყოს ასახული თითოეული სამუშაოს ზუსტი მოცულობები და არ უნდა იყოს მითითებული, რომ ისინი უნდა დაზუსტდეს კონტრაქტორი და საზედამხედველო ორგანიზაციების მიერ.
- 2.15. მოძრაობის ორგანიზაციის (საგზაო ნიშნები, ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონიშვნა და სხვა) პროექტის შედგენა. (შეთანხმდეს შესაბამის სამსახურ(ებ)თან);

- 2.16. მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა საბაზრო ფასებით და სამშენებლო რესურსების ფასთა კრებულის მიხედვით, ასევე გამარტივებული ვერსია;
- 2.17. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული უნდა იქნას სამუშაოების/მომსახურების შესრულებისას წარმოქმნილი ნარჩენების (ინერტული) განთავსება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე-სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე (ქალაქ თბილისში, გლდანის მუნიციპალიტეტი, თბილისის შემოვლითი გზის მე-15 კ.მ.-ის მიმდებარედ).
- 2.18. მშენებლობის ორგანიზაცია (მ.შ. სამუშაოთა შესრულების ტექნოლოგიური სქემები, კალენდარული გრაფიკები, მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი, შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები და სხვა);
- 2.19. საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ნაბეჭდი (4 ეგზემპლ.) და ელექტრონული ვერსიის სახით, ფონტი-„sylfaen”, ხოლო ლათინური სიმბოლოები - „Galibri“-ით, (პროექტი- „PDF” და „DWG”, პროექტის ვიზუალი (რენდერები, დამკვეთთან შეთანხმებით); ხარჯთაღრიცხვა - „EXCEL” ფორმატში).

3. სხვა მოთხოვნები:

- 3.1. გზის სამოსის, ტროტუარისა და ბორდიურის ტიპების, აგრეთვე ხელოვნური ნაგებობების (მ.შ. პარაპეტი, საყრდენი კედელი და სხვა) მოწყობის საკითხის შეთანხმება დამკვეთთან;
- 3.2. საზოგადო ტრანსპორტის გასაჩერებელ ადგილების და ნარჩენების შემკრები კონტეინერებისათვის ჯიბეების (შეჭრა) ადგილების განსაზღვრა (შესაძლებლობის მიხედვით) და შეთანხმება შესაბამის ორგანიზაციებთან;
- 3.3. საჭიროების შემთხვევაში მშენებარე ინფრასტრუქტურის ობიექტების სავარაუდო ქსელებისათვის საჭირო დიამეტრის განივი გარცმის მიღების გათვალისწინება;
- 3.4. საჭიროების შემთხვევაში სარეაბილიტაციო ქუჩაზე არსებული ასფალტის საფარის (ფრეზირებული მასის) გამოყენება ასფალტის გრანულატის სახით (შესაძლებლობის ფარგლებში);
- 3.5. საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტაციაში უნდა იყოს უწყისები შესასყიდი კერძო ნაკვეთების, ნარგავების და შენობა-ნაგებობების შესახებ, დასაკავებელი მიწების (გზის განთვისების ზოლში) ოდენობა, მათი სახეობა, დანიშნულებები და სხვა მახასიათებლები (შენობა-ნაგებობები, ხეხილი, ბიზნესაქმიანობა და ა.შ.) საპროექტო გზის განთვისების ზოლში მოხვედრილი მოსახლეობისათვის, მათი ქონების გამოსყიდვისა და განსახლების ქმედებებისათვის საჭირო ზომები და მისი ღირებულებები დასაკავებელი მიწებისა და განსახლების საკითხების გათვალისწინებით. ამასთანავე უწყისები აღსადგენი ღობეების და სხვა ობიექტების შესახებ;
- 3.7. პროექტში გათვალისწინებულ იქნას 77 მილიმეტრიანი სახანძრო ჰიდრანტების მოწყობა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად და შეთანხმდეს შესაბამის სამსახურთან.
- 3.8. მიმწოდებელი ვალდებულია ტექნიკური დავალებით გაუთვალისწინებელი გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში, გაითვალისწინოს მისი შეტანა საპროექტო დოკუმენტაციაში დამატებითი ანაზღაურების გარეშე (დამკვეთთან შეთანხმებით);
- 3.9. სიტუაციურ გეგმაზე დატანილი არსებული საკომუნიკაციო ჭები უნდა იყოს დანომრილი.